სახალხო გაზეთი

№ 969 ხუთშაბათი, 15 აგვისტო 1913 წ. № 969

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ს. რაჭდიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 17 აგვისტოს.

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **3 მ. 75 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

შაბათს, 17 აგვისტოს, **სოფ. ძრბოში**, წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

ქეთევან ლუარსაბის ასულის ყურულის

გარდაცვალების შემდეგ 40 დღის შესრულების გამო, რასაც აუწყებენ განსვენებულის შვილები: **ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა და გიორგი დურმიშხანის ძე ყურული.** 505

ახალი კლუბი
(საზაფხულო სადგომი)
ხუთშაბათს, 15 აგვისტოს 1913 წელს.

საოჯახო საღამო

ქართულ არტისტთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

იჭვიანი ვოდ. 1 მოქ. ერისთავისა. | **უბედური დღე** ვოდ. 1 მოქ. ბილანჩივაძისა.

წარმოდგენის შემდეგ: **ცეკვა.** სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: მამაკაცნი 1 მან; მანდილოსნები: 50 კაპ.; სტუდენტები 25 კაპ. წარმოდგენაზე დასწრება უფასოა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1431

ახალი წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალი მაღაზიას სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამის ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

ლევანდოვსკის პროგიმნაზია

სახაზინო გვერთა 6-კლას. პროგიმნაზ. უფლებ. ი. ქალ.-ვაჟთა ერთად სწავლება.

გუნიბის ქუჩა, № 10.

ახლად შესვლის მსურველთათვის გამოცდა მოხდება **2 და 3 სექტემბერს**, განმეორებით გამოცდა 4 სექტემბერს, გამოცდა დაიწყება დილის 9 საათ. პარაკლისი და სწავლის დაწყება 5 სექტემბერს 8-ნახ. საათზე. ყველა კლასიათ. მასწავლებლების კრება მოხდება 1 სექტემბერს საღამოს 7 საათზე. თხოვნის მიღება და ცნობების მიცემა დაიწყება 8 აგვისტოს და მოხდება მხოლოდ არა უქმე დღეს დილის 10—12 ს. და საღამოს 6—8 ს. პროგიმნაზიაში შესვლის მსურველთა საბუთები შემოტანილ უნდა იქმნეს 30 აგვისტომდე. 548

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **მერზიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი ხაფასურით. წ. 1035

ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

ყოველ დღე საღამოს 7—2 ს. ლამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ. ხელოვანის **ე. ფაუსტინის** ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის, სოლისტის **კონევსკის** და ვიოლონჩელზე დამკვრელის **სტეფანჩაკის** მონაწილეობით. 1409

გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი

რესტორანი

მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ., კრილოვისა და პასტერის ქ., ოლღას ქუჩის მხრით—გრევნოვაზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული. **ფასები ზომიერია.** სამაგალითო გადასახედავი, სალი და გრილი ჰერი.

ტელეფ. № 14—66.

რესტორანის ხელმძღვანელი **ჯინჭარაძე.**



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 15 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება

ორი დიდი არაჩვეულებრივი წარმოდგენა.

დღისით დიდი საღილაო წარმოდგენა დაკლებული ფასებით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ფენომენი, მუცლით მოლაპარაკე **ბ. ბროკარსი**; მოჯირიჯზე **ბ. ლეოვი**; ცხენზე სალტომორტალე მკეთებელი **ბ. ეუზეფი**; მასხარები **ბ. რობერტსი**; **ძმ. ვინჩეცოები** და სხ. უფასოდ სეირნობა ჯორებით და პონით, დასაწყისი 2-ნახ. ს. საღამოთი **ბუშის**, ვენის დიდი ცირკისამებრ გაიმართება დიდი წარმოდგენა შეცვლილი პროგრამით. ნუ დაივიწყებთ, რომ გამოჩენილნი **ჰაერის მეფენი** ძალიან მოკლე დროით რჩებიან და დღეს შეასრულებენ ძალიან ძნელ ოინებს. გამოსვლა მოჯირითე ქალის **ქ. თამარისა**. გამოსვლა ასაფეთქებელ ავტომობილით ექსცენტრიკ მუსიკოსების **ბ-ნთ ბროკარსებისა**. გამოსვლა ცნობილ მასხარების **ბ. რობერტსისა** მოლაპარაკე ძაღლით და ჭკვიანი და ფენომენი ვირ თ. დღესვე მონაწილეობას იღებენ ხალხის საყვარელი მასხარები და ხუმარები **ძმ. ვინჩეცოები.**

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 555. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლაში
სოფელ დიდ გომარეთში (ბორჩალოს მაზრა),

საჭიროა მასწავლებელი

ჯამაგირი 360 მან. წელიწადში, ბინა, შეშა და მსახური; სამი წლის სამსახურის შემდეგ მიემატება 60 მანეთი წელიწადში. სასურველია ხმღერ.-გალობის მცოდნე. მსურველმა თხოვნა საბუთებით უნდა წარმოადგინოს **ტფილისში** წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში 25 მარიამობისთვემდე. 1428

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში
კვირას, 18 აგვისტოს, დილის 10 ს, მთავრობის ნებართვით, შესდგება

ტფ. სტამბის მომუშავეთა, ლიტოგრაფიისა და წიგნის მკაზმავთა საზოგადო კრება.

კრება შეიმუშავებს **ახალ წესდებას** და ამოირჩევს დამფუძნებელ კომისიას ბეჭდვითი საქმის **პროფესიონალური კავშირის** დასაარსებლად. ამხანაგები მოუწოდებენ სამივე დარგის მომუშავეებს დაუყოვნებლივ დაესწრნენ კრებას.

ქუთაისის ქართული გიმნაზია

აცხადებს, რომ მდგომარე წლის სექტემბრისათვის

თავისუფალი ვაკანსია მოიპოვება
მხოლოდ მოსამზადებელი კლასის 1-ლსა და 2-ე განყოფილებაში.

თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკული, წოდებისა და ყვავილის აცრის მოწმობები) უნდა წარმოადგინონ 20 აგვისტომდე. მისაღებ მოსწავლეთა გამოცდა დანიშნულია 28 აგვისტოსათვის.

ხელახალი გამოცდა დაიწყება 26 აგვისტოდან.

გიმნაზიის გამგის მაგიერ **ს. ხუნდაძე.**
1421 საქმის მწარმოებლის მაგიერ **ლ. ჯაფარიძე.**

გორის ვაჟთა გიმნაზია

აცხადებს, რომ გიმნაზიაში შესვლის მსურველთა

გამოცდა დაიწყება ყველა კლასებში 26 აგვისტოს. 552

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.
მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ეკატერინოსლავის გამოფენაზე 1910 წ.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

კვირის
ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს აბასთუმანში.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ღიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ბელიაევი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თაყაიშვილ. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ ითხელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდაროვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ითხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით 1035

ექიმი ა. შ. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორ**განოთა, **ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, **კიროჩნი** ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ელექტრონის და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენი სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

დოქტორი მედიცინისა
ი. ბ. ჩუდნოვსკი

დაბრუნდა და განაახლა ნერვებისა დ შინაგანი ავადმყოფების მიღება ყოვ.-დღე, დილის 9—11 ს.-დე და საღამ. 5—8 ს.-დე; **კიროჩნი** ქ., სახ. № 18, **ტელეფ. № 1090.** 554

ტფილისი, 15 აგვისტო

ისტორია გიმნაზიებში და მინისტრი კასსო

ერთხელ სტუდენტი, რომელიც მეტად მოხუცებული, ძველებურად აღზრდილი მამა დიდს იმედებს ამყარებდა, სოფელში დაბრუნდა და თან სახელმძღვანელო წიგნები წაიღო: ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა და მომავალი ისტორიის გამოცდისთვის ემზადებოდა. ერთხელ, როდესაც ჩვეულებისამებრ დიდი წიგნი გადაეშალა, მასთან მამა მივიდა და ჰკითხა, რა წიგნსა კითხულობ, შვილოვო. საფრანგეთის რევოლიუციასა ვსწავლობო. მოხუცი ელდა ნაკრავივით გადახტა უკან, მაშინვალურად აქეთ-იქით მიიხედა და თითქმის ჩურჩულით ჰკითხა: „რა სთქვი, რა?“ შვილს გაეცინა, მიჰხვდა, რათაც შეეშინდა მამას და გაუმეორა: „მართალს გეუბნები. ვსწავლობ, როგორ დაამხეს საფრანგეთში მონარქია და როგორ დაამყარეს რესპუბლიკანური წეს-წყობილება. ეხლა საფრანგეთში რესპუბლიკაა“.

მოხუცი მამა ცოტახანს ჩაფიქრდა, ამოიოხრა და მწუხარე კილოთი უპასუხა შვილს: „მაშ რაღათა ჯავრობენ თქვენი უფროსები? ისინი თითონ გასწავლიან რევოლიუციის ამბებს და კიდეც უკვირთ, რომ თქვენ არეულობას ახდენთ?“.

ალბად მინისტრი კასოც ამ მოხუცსავით აზროვნებდა, როდესაც თავის ცირკულიარსა სწერდა და ავალებდა მასწავლებლებს, ისტორია გიმნაზიებში ისე არ უნდა ასწავლოთ, როგორც უნივერსიტეტში ასწავლიანო. მეცნიერება ერთია. მეცნიერულ აღზრდასაც თავისი საერთო კანონები აქვს. შეიძლება ჯამი ამ ცოდნისა, რომელსაც მოსწავლე საშუალო სასწავლებელში იძენს, არ უდრიდეს საუნივერსიტეტო კურსს და არც საჭიროა ეს ასე იყოს, მაგრამ როგორ შეიძლება არსებითად შეიცვალოს მასალა ისტორიული ცოდნისა. ეს მინისტრის ღრმა საიდუმლოებად დარჩებოდა, თვით მასვე რომ არ განემარტა ცირკულიარში, რანაირ ცოდნის გადაცემა მიაჩნია საჭიროდ გიმნაზიაში. როგორც „რეჩ“-ი გადმოგვცემს, მინისტრის ცირკულიარის დედა-აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა გადაცემა ტენდენციური ცნობებისა. მასწავლებელმა უნდა „შეარჩიოს“ მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთი დასავლეთ ევროპას არა ჰგავს და გზა რუსეთის ისტორიული ძველლობისა სულ სხვანაირია. მინისტრის აზრით, საშუალო სასწავლებელში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ობიექტიურ ისტორიულ სინამდვილეს, უნდა არსებობდეს წინასწარი მიზანი, რომლის განსახორციელებლადაც მასწავლებლებმა უნდა გამოსჭრას და შეაკოწიწოს ისტორია.

ნათელი და ცხადია, რად დასჭირდა მინისტრს ასეთი ცირკულიარის გამოცემა. ამ საშუალებით სახალხო განათლების მესვეურს უნდა სკოლა დაიხსნას „მავნე გავლენისაგან“. ეს სურვილი ახალი არ არის. რუსულ სკოლაში ყოველთვის ასეთი პოლიტიკა ყოფილა გამეფებული. მაგრამ მიუღწევია კი მიზანს? სკოლა ცხოვრებისაგან გარიყული რამ დაწესებულება არ არის. იგი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ზედგავლენას განიცდის. ძალიანაც რომ ჩავკე-

ტოთ სკოლის კარები, მოსწავლისთვის მაინც გაუგებარი არ დარჩება, რომ, მაგალითად, არსებობს სახელმწიფო სათათბირო, საკანონმდებლო დაწესებულება, რომელშიაც თავს იყრიან ხალხის წარმომადგენლები. პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში სწარმოებს, ასე თუ ისე მოსწავლის ყურამდისაც მიაღწევს და ჩააფიქრებს. რათა ჰგონია მინისტრს, რომ ამის შემდეგ მოსწავლე კრიტიკულად არ შეხედავს მასწავლებლის სიტყვას და, წინააღმდეგ მისი რწმენებისა, ნათლად არ დაინახავს, რომ სახელმწიფო სათათბირო იგივე ევროპიული პარლამენტია, იგივე უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებაა. მკვირცხლი გონება მოსწავლისა ერთბაშად აღმოაჩენს კონტრასტს რუსეთის რეალურ სინამდვილესა და მასწავლებლის სიტყვებს შორის. ადვილად შესაძლებელია ხელოვნურის ზომებით ამ კონტრასტის შეგნების შედეგი ჩაიჩქმალოს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ თვით შეგნება მოსწავლის გულიდან აღმოიფხვრება. ისიც შეიძლება საშუალო სასწავლებელში მოსწავლენი სრული გაუგებრობის ბურუსში დავსტოვოთ, მაგრამ გაივლის ხანი, მოსწავლე ცხოვრებაში გამოვა და დამოუკიდებლობის პირველივე ნაბიჯი დაანახვებს, რა დიდი კონტრასტი ყოფილა სინამდვილესა და ყველა ამის შორის, რასაც სასწავლებელში ისწავლიდნენ.

რა გულით უნდა უყურებდეს მაშინ მოსწავლე საშუალო სასწავლებელს და როგორ უნდა გაიმსჭვალოს პატივისცემით ასეთ სკოლისადმი? სკოლას ისევე ექნება დაკარგული ავტორიტეტი, როგორც ეხლა აქვს. სამინისტრო თავის მიზანსაც ვერ მიაღწევს და სკოლას კი ავტორიტეტს დაუკარგავს.

სრულიად სხვანაირი სურათი გადაიშლებოდა ჩვენს თვალწინ, სამინისტროს სკოლა ცხოვრებისაგან განყენებულ რაღაც დაწესებულებად რომ არ წარმოედგინა. მაშინ „მავნე გავლენათა“ წინაშე შიში არც ისეთი დიდი და გაზვიადებული იქნებოდა და სკოლაც თავის დანიშნულებას პირნათლად შეასრულებდა.

პროექტი სამოქალაქო დებულებისა. „ნოვოე ვრემიაში“ მოყვანილია პრემიერ-მინისტრის კოკოვცევის აზრი სამოქალაქო დებულების (Гражданское уложеніе) პროექტის შესახებ. ეს პროექტი შეიმუშავა უმაღლესად დანიშნულმა სარედაქციო კომისიამ. კოკოვცევი ძალიან ბევრს ნაკლულოვანებასა ჰხედავს ამ პროექტში და საჭიროდ მიაჩნია, იგი ძირიანად გადამუშავდეს და სულ სხვანაირ საფუძველზე აშენდეს. კოკოვცევის აზრით, კომისიის ნაშრომი ნაყოფია არა იურიდიული აზრის შემოქმედებისა, არამედ უბრალო და სადა სარედაქციო მუშაობისა. კომისიას სახელმძღვანელოდ აუღია არსებული კანონმდებლობა რუსეთისა და ზოგიერთს შემთხვევაში უცხოეთისა, სენატის განმარტებანი. რაც სასარგებლოდ დაუნახავთ, ამოუკრეფიათ და ერთად მოუყრიათ თავი. ასეთი წესი მუშაობისა და აპრიორული მეთოდი კოკოვცევს არ მოსწონს. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ კომისიას ეხელმძღვანელა არა მხოლოდ არსებული კანონ-მდებლობით და სასამართლოს პრაქტიკით, არამედ იმითაც, თუ რანაირ გამოხატულებას იღებს კანონი ცხოვრებაში და რამდენად შეეფერება იგი სინამდვილეს. ნამდვილი იურიდიული შემოქმედება მხოლოდ ეს იქნებოდა. გარდა ამისა, სენატის განმარტებებით სარგებლობა შეუძლებელია იმიტომ, რომ იგი შედეგია არსებულ კანონმდებლობისა, ორგანიული და განუყოფელი ნაწილია იმისა, რაც დღეს მოქმედებს. სენატი ახალს არაფერსა ჰქმნის, იგი თავის მოქმედებაში ემყარება არსებულ კანონს, რომლის შეცვლაც განზრახულია. მაშასადამე თვით სენატის პრაქტიკა, როგორც არსებულ კანონმდებლობაზე დამყარებული, ყოვლად შეუძლებელია სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელად გადაიქცეს.

ეს აპრიორული მეთოდი მიაჩნია კოკოვცევს იმის მიზეზად, რომ ახალი პროექტი სამოქალაქო დებულებისა დამაკმაყოფილებელი ვერ გამოვიდა. ამნაირად შედგენილ პროექტში ბევრი დეფექტი უნდა ყოფილიყო, და კოკოვცევიც აღნიშნავს ამ დეფექტებს.

პროექტს საფუძვლად უდევს ამ უკანასკნელი ათი წლის კანონმდებლობა. ამ კანონმდებლობას ისეთი ბეჭედი აზის, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული მთელი შინაარსი უკანასკნელი ხანის ცხოვრებისა. მაგალითად, პრინციპი წოდებრივობისა, პრინციპი აპეკისა ბოლო დროს პრინციპიალურად უარ-ყოფილია. ამიტომ ისეთი საკანონმდებლო მუშაობა, რომელიც წარსული წლების საკანონმდებლო მასალის კოდიფიკაციას წარმოადგენს, კატეგორიულად უარყოფილ უნდა იქმნას.

კოკოვცევს მოჰყავს მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ ანვითარებდა წოდებრივობის პრინციპს სენატი და როგორ განკერძოებულ მდგომარეობაში აყენებდა გლეხობას. ძალიან ხშირად, მსხვილ მიწად-მფლობელობის ინტერესების დასაცველად, რაც ერთს დროს იქნება მართლაც უნდა შესულიყო სენატის ანგარიშებში, სენატი კანონის წინააღმდეგაც მიდიოდა და საზოგადოებრივ ინტერესებს ჰლალატობდა. სენატის ასეთი პრაქტიკის კანონად ქცევა ეხლანდელ დროში ყოვლად შეუძლებელია და აღარც შეეფერება მთავრობის იმ კურსს, რომელსაც 1904 წლის 19 დეკემბრის ბრძანების შემდეგ დაადგა.

ყველა ამ მოსაზრებათა ძალით პრემიერ-მინისტრს საჭიროდ მიაჩნია, რომ პროექტი ძირიან-ფესვიანად შეიცვალოს და ახალ საფუძვლებზე აშენდეს. პროექტის ცალკე ნაწილების ცხოვრებაში გატარება კი კოკოვცევს შესაძლებლად მიაჩნია.

ქართული პრესა

„განთიადი“ განაგრძობს ცილისწამებას. ვიცით, მოსაბეზრებელია ჩვენი მკითხველებისათვის ერთსა და იმავე საგანზე ათასჯერ წერვა, ვიცით, ბევრი უკმაყოფილებას აცხადებს, როდესაც „განთიადი“-ს ნაწერს სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ, მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვხდებით კვლავ და კვლავ მივსდიოთ ამ ცილისწამების გუდას, რომ ჩვენმა მკითხველებმა იცოდნენ მაინც, რა ჯურის კალმოსნები სხედან „განთიადი“-ს რედაქციაში და რა დაბალი ღირსების მწერლებს ჩაუგდიათ ხელში პრესა. აი, კიდევ ერთი ნიმუში „განთიადი“-ს „პუბლიცისტური“ ვარჯიშობისა.

„შეუძლებელია დაამტკიცონ, რომ ისინი ხალხის თვით-მოქმედების მომხრენი არიან, ვინაიდან იგინი ერეკებიან ხალხს წერა-კითხვის საზოგადოებიდან და სხვა დაწესებულებიდან. შეუძლებელია დაამტკიცონ, რომ ისინი ხალხს პატივსა სცემენ, ვინაიდან მათ არა ერთხელ დაჰგმეს მისი მოძრაობა და „ნიშადურელებთან“ ერთად ყაჩაღების, ქურდებისა და მკვლელების მოძრაობად მონათლეს იგი“.

მერე? თქვენა გგონიათ საბუთებს მოიყვანს? სრულიადაც არა. იტყვის —და მერე სდიე რამდენიც გინდა. მან ხომ თავისი გულის ჯია მოიკლა, იცრუა, სხვა რაღა უნდა? ეს რომ ასე არ იყოს, განა ჭკუათა მყოფელი ადამიანი იტყოდა, წარსული მოძრაობა „სახალხოელებს“ ყაჩაღების მოძრაობად მიაჩნდათ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ფასი და მნიშვნელობა ამ მოძრაობისა, მაგრამ ვიცით ისიც, რომ მოძრაობის დროს ბევრმა ყაჩაღურმა ელემენტმა ამოაფარა თავი მოძრაობას და პარტიულ დროშის ქვეშ მუშაობდა. ტყუილია? განა ცოტა იყო ასეთი ელემენტი? ვინც ამას იტყვის, ის განა მთელ მოძრაობას „ყაჩაღობად“ სთვლის? „განთიადი“-ს ლოღიკით ასე გამოდის. საზოგადოდ ამ საგანზე ისე არ ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, რომ „განთიადს“ კუდი არ მოუწვას. რა აწუხებს? იქნება ის, რომ ეს „ყაჩაღური ელემენტი“ ოდესღაც მათი დროშით დათარეშობდა?

ასეც რომ იყოს, ხალხის მოძრაობა რა შუაშია? არც ხალხი და, თუ გნებავთ, არც სოციალდემოკრატიული მოძღვრება თავის თავად აქ არაფერს შუაშია. დანაშაული ამ საქმეში მიუძღვის იმას, ვინც ბრბოს ბრმა ინსტიხქტები აამოძრავა და მათი შემწეობით მოისურვა ბატონობის ხელში შენარჩუნება. ისტორიული ნიმუში იმისა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ბრმა ინსტინქტების ამოძრავებას, ფ. მახარაძემ მოგვცა. ამისთანა ანორმალურ მოვლენებთან ბრძოლა წმინდა მოვალეობაა ყოველი შეგნებული ადამიანისა; ყველაზე უკეთესად ამას უნდა გრძნობდნენ დასელები, თავიანთი მოღვაწეობის კრიტიკული განხილვის უნარი რომ ჰქონდეთ.

⁂

თუ სადამდის შეიძლება მივიდეს გაფანატიკოსებული ადამიანის ბრმა ინსტიქტი, ამის მაგალითს „იმერეთ“-ში ვკითხულობთ:

„მაგრამ ეს რომ ფარისევლობაა, ყველასთვის ცხადია,—სწერს „იმერეთი“,—ამას სხვა მრავალ ფაქტთა შორის ამ დღეებში ჩვენს გაზეთში მასწავლებელ დეკანოსიძის მოთავსებული წერილიც ამტკიცებს. ერთი მეპროტესტეთაგანი ნატრობდა თურმე: „ნეტავი იმ პირთა შორის ვყოფილიყავ, რომელთაც ილია დახვრიტეს, მე პირველი ვესროდი ტყვიას, როგორც საზიზღარ ადამიანსაო“.

თქვენის წარმოდგენით, ბ-ნნო განთიადელებო, ეს „მეპროტესტე“ ვინ არის? ჩვენის აზრით იგი ყაჩაღი და მკვლელია. თქვენის აზრით კი ის შეიძლება „შეგნებული“ მუშაც იყოს. რამ აღუძრა ამ საცოდავ ადამიანს ესოდენი ბოროტი გრძნობები, რამ ათქმევინა უბედურს ეს გულის-შემზარავი სიტყვები? მხოლოდ იმან, ვინც ბრბოს ქვენა გრძნობები აამოძრავა. მერე რაო? განა ამ საცოდავს რომ ჩვენ თავისი სახელი ვუწოდოთ, ამით ცოტაოდენი ჩირქი მაინც მოეცხება მუშათა კლასს? განა თვით მუშებისთვის, მათი ბრწყინვალე იდეალისთვის შეურაცყოფა არ იქნება, რომ ამისთანა ადამიანი გვერდით უდგეს? ჩვენ გვგონია, რომ ყოველი შეგნებული მუშა ზიზღით გაუვლის გვერდით იმ ადამიანს, რომელიც ნატრულობს, ნეტავი ილია ჭავჭავაძე მე მომეკლაო. და თუ ჩვენც ასეთ ადამიანებს ყაჩაღები ან მკვლელები ვუწოდეთ, ამით სიმართლეს არ ვუღალატებთ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რეჩ“-ში დაბეჭდილია მეორე წერილი ა. გაუფმანისა, რომელიც ეხება კრივოშეინის მოხსენებას ამიერ-კავკასიის კოლონიზაციის საკითხზე. აღნიშნულია, რომ მიწათმოქმედების უწყების მთავარი გამგე ბევრს ნაკლსა ჰხედავს იმ პოლიტიკასა და მოქმედებაში, რომელსაც კავკასიის ადგილობრივი მმართველობა აწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ ძველებური სისტემა გადასახლებისა, რომელიც სრულიად უსარგებლოდ აღიზიანებს ადგილობრივ მცხოვრებთ, არ ვარგა, იგი მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ მუდამში განსაკუთრებით რუსები უნდა დავასახლოთო. ამის გამო „რეჩ“-ი სწერს:

„მართალია კრივოშეინი, როდესაც ამბობს, საჭიროა სასოფლო მეურნეობის აყვავება. მხოლოდ მას შეუძლიან „ექვს მილიონიან მცხოვრებლებში“ შეიტანოს „შესამჩნევი დამშვიდება და კმაყოფილება“.. მაგრამ კმაყოფილებასა და დამშვიდებას ვერ მივაღწევთ, თუ ადგილობრივი მცხოვრებნი იძულებული გაახდებიან რუს გადმოსახლებულთა კმაყოფილებას შესწირონ და მხოლოდ კბილები აწკაწკონ.“

სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ გამგონი ვინ არის?

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. სათავად-აზნაურო ბანკმა** 18,300 მან. იჯარით მისცა ე. გ. კესლერისა და კომპ. ფირმას ცენტრალური გათბობა და ვინტილიაცია ახალ შენობისა, რომელსაც ლორის-მელიქოვის ქუჩაზე აგებს.

✦ **შეშის საწყობი.** ქალაქის სამეურნეო კომიტეტში აღიძრა საკითხი: დააარსოს ქალაქმა საკუთარი შეშის საწყობი.

✦ **შილევისეულ სახლის** საქმის გამო გუშინ მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ ნ. პ. შატილოვს წარუდგნენ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და „კრუჟოკ“-ის მიერ არჩეული საგანგებო დეპუტაცია.

✦ **მტკვარში დაიხრჩო** ბანაობის დროს ბორჩალოს მაზრის მცხოვრები გალუსტ ზაქარიას ძე პეტროსოვი, 25 წლისა. გვამი იპოვეს და მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

✦ **თავი მოიწამლა** ნიკოლოზის ქუჩაზე (№ 50) მცხოვრებმა 40 წლის ქალმა მარიამ მიხეილის ასულმა ჩერქაშინმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **საბირჟო ცნობები.** 14 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 80 კ., აძლევდნენ—84 მან. 40 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. აძლევდნენ—82 მან. 50 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—79 მან. 50 კ., აძლევდნენ—78 მან. 25 კაპ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—485 მ., მეორისა —357 მან., და მესამისა—316 მან.

✦ **შეშის ძებნა.** ქალაქის თვითმმართველობისთვის საჭირო შეშის თაობაზე გუშინ ქალაქის სამეურნეო კომიტეტს დაბარებული ჰყავდა 20 კაცი. გამოცხადდა მხოლოდ ორი; საჭიროა 300 კუბიკური საჟენი შეშა. სხვებზე ნაკლები ფასი მოითხოვა შარშანდელმა მოიჯარადრემ პაპაიანცმა, რომელიც თანახმაა აძლიოს ქალაქს საჟენი შეშა: თეთრი რცხილა 48 მან., ხოლო წიფელა—38 მან. პაპაიანცის პირობებს ქალაქის გამგეობა განიხილავს.

✦ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** კისლოვოდსკიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **აბრეშუმის საქსოვი სახელოსნო.** მოკლე ხანში ბოდბის დედათა მონასტრის სასწავლებელთან აბრეშუმის საქსოვი სახელოსნო დაარსდება.

სასწავლებლებში

✦ **ოსური სკოლა.** როგორც ვწერდით, 1 სექტემბრიდან ნაძალადევში ოსური პირველ-დაწყებითი საქალო სკოლა არსდება. გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მსურველებმა უნდა მიმართონ ბ-ნს სობიევს (ნაძალადევი, სუნეენის ქუჩა, № 8).

✦ **ახალი სკოლა.** ქალაქის თვითმმართველობა 1 სექტემბრიდან ახალ ქართულ პირველ-დაწყებითი სკოლას აარსებს კუკიაში. სკოლისთვის შენობა უკვე დაქირავებულია რეუტოვის ქუჩაზე (ვარდანოვის სახლში). სკოლის გამგედ დაინიშნა ქ-ნი ხმიადაშვილი.

✦ **ტფ. სახელოსნო სასწავლებელში** შესვლის მსურველი წელს ბევრი აღმოჩნდა. დღემდე შეიტანეს 100-მდე თხოვნა. ვაკანსია სამოცია. მისაღები ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოს და 26 აგვისტოს დასრულდება.

✦ **ქართულ სახალხო პირველ-დაწყებითი სკოლებში** 1 სექტემბრიდან მასწავლებლების რამდენიმე ადგილი განთავისუფლდება. მასწავლებლად დანიშნავენ კანდიდატებს, რომელნიც შარშან ამოირჩიეს. სულ 18 კანდიდატია.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტის** კრება 13 აგვისტოს მოხდა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნ. ნ. მაკაროვის თავმჯდომარეობით. პირველად კომიტეტმა განიხილა საკითხი: განაგრძოს თუ არა ფილოქსერის გამოკვლევა თელავის, თიანეთისა და ბორჩალოს რაიონში. დაადგინა, მუშაობა კიდევ ერთის თვით განაგრძოს. რა მონაწილეობა მიიღოს კომიტეტმა ამიერ-კავკასიისა და თურქესტანის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტების წარმომადგენელთა კრებაში, რომელიც მომავალ შემოდგომაზე ტფილისში იქნება მოწვეული,—ეს საკითხი გადაუწყვეტავი დარჩა კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ კორვინ-პავლოვსკის ტფილისში არ ყოფნის გამო. კომიტეტმა განიხილა აგრეთვე მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველოს წინადადება. საქმის ვითარება ასეთია: წარსულ მარტში კომიტეტმა განიხილა საკითხი ლელიანის (სიღნაღის მაზრა) ვენახების შესახებ, რომელიც ფილოქსერით არის დაავადებული და დაადგინა, არ მიმართოს რადიკა-

---

ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე

XVI

„გულდაკოდილი არწივი“.

ვაჟას პოეზია.

დ*.

ვაჟა ჭეშმარიტი მებრძოლია. ამიტომ იგი ნაკლებად წააგავს მათ, რომელთათვის იმედის მზე ჩამქრალა და მარტო ცრემლში ნეტარება-შვება ეძლევა. ცრემლის წვეთების ლამაზ მძივებად ასხმა და რითმიული გარდაშლა შინაგან მწუხარებისა მხატვრის ბუნებას იტაცებს და მის საკუთარ წყლულებს უშუშებს. ამიტომ უთქვამს საუკეთესო მხატვარ ესტეტიკოსს უაილდს: „მონახეთ შესაფერი, ლამაზი ფორმა თქვენი მწუხარების გამოსახატავად და მწუხარება თქვენთვის შემსუბუქდება, იგი ნეტარებად იქცევა“.. აქ მხატვარის, როგორც პიროვნების, შვების წყაროა.

მაგრამ იგი წყარო მაშინ გახდება მათრობელი მხატვრისათვის, მაშინ მოჰგვრის მას შვებას, თუ იგი მთელის არსებით დაეწაფება მას, თუკი მთლიანი პიროვნება ორგანიულად განიცდის ამ მწუხარების ძალას და მის სიტყვად გარდმოშლას ლამობს, ცრემლად გადმოდენას სცდილობს. აქ არის საიდუმლოება შემოქმედის ტანჯვითი ლხენისა... ვაჟასათვის ტანჯვა ლხენად ვერ ქცეულა... მის ბუნებას **მთელის** არსებით ვერ იტაცებს სევდა და ცრემლთა დენის წყურვილი. ყველა ამის საიდუმლოება მის მეამბოხე ბუნებაში მომწყვდეულა: მისი პიროვნება **გაორებულა** და, მწუხარებით დამთვრალ, მხატვარს მარად აღუდგება აღტყინებული მებრძოლი, რომელიც ცრემლებს გზას უკრავს და მწუხარების ხმას ახშობს. მის თვალებს მარტო გამონაკლის, უკიდურეს ტრაგიზმის შემთხვევებში ევლინება ცრემლი და იგი ცრემლიც მალე თვით მგოსნისათვის მტანჯავი ხდება. თვითონ პროცესი ცრემლთა დენისა ვერ იტაცებს და ვერ იტევს ვაჟას ლაღ ბუნებას. ამიტომ მისი ცრემლი, სიამაყით ნაშობი, ჩვენს გულს მძიმე და ცხელ ტყვიასავით ეშვება.

როგორც აღვნიშნე, ვაჟას ბუნება გაორებულია და მასში მხატვარი მეამბოხეს ებრძვის და მგოსანიც ვერასოდეს თვისის მწუხარებით თავდავიწყებამდე ვერ მიდის, მისი ცრემლი მას სხვებივით ვერ ათრობს. იგი მუდამ დევნილია თავის „მე“-ს მეორე ნახევარით, რომელიც მის ცრემლებს ხედავს და სილაჩრეს დასცინის...

აი, ეს ჭვრეტა, საკუთარ მწუხარების სრული შეცნობის მომენტი მუდამ აფხიზლებს მას და გულს იჭვის ისრებით ცხრილავს. ვაჟა **მებრძოლი**, რომელიც ეტრფის და აფასებს ბუნების მიერ ჩანერგულ ძალას, ბრძოლის წყურვილს და ენერგიას, გრძნობს საშინელის სიმწვავით, რომ ვაჟა **მხატვარი** „სევდას უპყრია კლანჭებში, როგორც არწივსა გნოლია“, გრძნობს, რომ ცრემლთა ტბაში სცურავს და ტყუილ უბრალოდ, უმიზნოდ ენერგია იკარგება, ძალა „**იხარჯება**“.

ერთ თავის ლექსს ავტორმა სათაურად „უბედოდ ბედნიერი“ დაუწერა. აქ ცხადია, იგი მხატვრულის ინტუიციით ჩასწვდა საკუთარ ტრაგედიის სიღრმეს და თავისი გაორება აშკარად შეიცნო. იგი „ბედნიერია“, როგორც მხატვარი, რომელიც ლამაზ სევდით შეპყრობილა და ფანდურის მატყვევებელ ხმისათვის აუყოლებია გულის ვარამი; „ბედნიერია“, როგორც მხატვარი, რომელიც სამშობლოს ტანჯვით თვით იტანჯება და ამ ტანჯვის ზიარების ძალით პყრობილია:

„ნეტარებასა განიცდის სული
ვბრიყვდები ამით—ვითომ შველაა,
რომ შენს ტანჯვის დროს, მეც
ვიტანჯები?“.

მაგრამ აქ მძლავრად წამოიჭრება მისი პიროვნების მეორე ნახევარი, რომელსაც პოეტური ექსტაზი ვერ ატყვევებს მშვენიერ მწუხარებით და რომელიც იჭვის თვალით უცქერის ვაჟას—მხატვარს. იგი ნახევარი ავტორის „უბედობის“ სიმბოლოა. ეს არის ვაჟა მეომარი, რომელსაც მორევია ბრძოლის წყურვილი და მისი ხმა საბედისწეროდ ამსხვრევს მხატვარის ნეტარებას; და ვაჟას—მხატვარს, რომელსაც სწყუროდა მშვენიერის მოტყუილებით შეექმნა ლამაზი სურათი ფანტასტიურ ნეტარებისა, საშინლად სჯის ვაჟა-მეომარი და უნაყოფო, უმიზნო ცრემლებისათვის დასცინის კიდეც; აქ იგი ვაჟა გარდაიქმნება და ცრემლების ნეტარება მას შხამად ეწვეთება გულს.

„შველა მგონია სახსარ-დალეულს,
რომ წარამარად მე ვიხარჯები,
თვისვე ოცნებით მოტყუებული,
შავ-ბედიანი ბედნიერ ვხდები“.

და ბოლოს, ნატანჯი ავტორი, შეგვკითხავს: „რად არის ასე... თავს რად ვატყუებ, რისთვის **ვცდები**?!..“

—

შესაძლოა, ვისმეს ფიქრად მოუვიდეს, რომ ვაჟას პიროვნების მეორე ნახევარი (მეომარი), მიტომ ამარცხებს ხშირად პირველს (მხატვარს), რომ მასში ძლიერი არ არის უკანასკნელი, რომ იგი ვერ მიჰყვება თან ლაღ ფანტაზიას და ისე ძლიერად ვერ განიცდის მხატვრის ბუნებას. მაგრამ ეს ფიქრი უსაფუძვლოდ იქცევა, რა ყურს ათხოვებთ ვაჟას მომხიბლავ ფანტაზიის ხმებს და მის საამო, ფერადოვან სურათებს იხილავთ. და განა თვით ავტორი ვერ განიცდის თვის მხატვრულ სიძლიერეს? აბა, დაუკვირდით მის სიტყვებს, როცა იგი პყრობილია პოეტურის ექსტაზით და თქვენ აშკარად შეამჩნევთ ამ დიად სტიქიას, რომელიც მხატვრის სულში ამოძრავებულა და რომელსაც თვით მხატვარიც ასე ძლიერ წაუტაცნია: „მხრები მესხმება“, ამბობს პოეტი ამ დროს, „ვიზრდები,

ცად ვიწევ ასაფრენადა.
გაჩნდება სითლაც ნათელი
გულს ჩაიდგება სვეტადა;
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბღერთადა;
მითრთიან გულის სიმები
სიამოვნების ღმერთადა.
არა ვთქვა, არ შემიძლიან,
მონა ვარ მაშინ ჩანგისა“...

ასეთი ძალა ჩანგისა პოეტისათვის მაშინ გახდება აშკარად შეცნობილი, როცა იგი გამოერკვევა და ამქვეყნიურ ყოველდღიურობაში გადმოვა; მაშინ მას სანეტარო სიზმრად ეშლება შემოქმედების დროს განცდილი დიადი წუთები. მართლაც სანეტაროა იგი წუთები და ბედნიერნი არიან ხელოვანნი, რადგან მარტოოდენ ისინი განიცდიან მის ძლევამოსილებას. აქ ხელოვნურად შექმნილ დარდით, რეალური დარდი ქრება, მხატვრულად მოგვრილ ცრემლით ყოველდღიურობის ცრემლი იხშობა და მომხიბლავად მეტყველებს სევდა, პოეტის მატყვევებელი:

„იშლება, მღერაში დნება,
ბუდე ყველა სხვა დარდისა.
ზღვად ვცურავ ნეტარებისა,
წვერი ხელთა მაქვს კალთისა,
უფლის და მისთა მსახურთა
ლოცვა-კურთხევა მომდისა
კალთაში ვარდი მეშლება,
თავზე მანანა დამდისა“...

ცხადია, აქ აღმაფრენის წუთები შეუდარებელის სიძლიერით არიან განცდილნი, ექსტაზი ნამდვილ ღვთიურია; შემოქმედება ჭეშმარიტი... იგი მადლიან ლოცვად გადმოჩუხჩუხებს, რომლის ტალღებში ამ წმინდა ლოცვით მოგვრილი ცრემლები ნაზად კრთიან.

ჭეშმარიტად, ბუმბერაზი უნდა იყოს ის ძალა, რომელიც ასეთ პოეტურ თავდავიწყებისაგან და მხატვრულ შვებისაგან გამოაფხიზლებს მგოსანს, ოქროს სიზმარს დაუმსხვრევს და ცხადის თვალებით შეახედებს თვის ნეტარების წარმავლობას, ძალთა უმიზნოდ „ხარჯვას“.

ჩვენი მგოსნები ძალიან ძვირად აღწევენ ასეთ სიმაღლეს და ნეტარ თავდავიწყებას შემოქმედების წუთებში, მაგრამ მაინც ვერ ახერხებენ ამ ჯადოსნურ ძალიდან თავის დახწევას და ფხიზლის თვალით სინამდვილის გასინჯვას... ამ ექსტაზის დროს ნამხელი ტანჯვა, ნეტარებად იქცევა და საკმაოა ამ მდგომარეობის—მხატვრულ ყოფის სინამდვილით განჭვრეტა, რომ შემოქმედებას ფრთები დაემსხვრას და ავტორიც გადაიჩეხოს—დაუბრუნდეს ყოველდღიურ სიცხადეს, ცხოვრების პროზას.

ვაჟა კი ამ ჭვრეტის დროსაც ისევ მხატვრულ სიმაღლეზე რჩება და პოეტურ ბუნების თანაზიარებას არა ჰკარგავს. მასში ძლიერია, როგორც დავინახეთ, აღმაფრენის ძალა, მაგრამ ასეთივე ტიტანიურია ფხიზელ გმირის ძალაც... ამ ორ დასაწყისთა შორის გაფითრებული შეტაკებაა: გიჟური, თავდაუჭერელ ვნებას წინ უდგება ფხიზელი გონება და ორივე **ერთსა და იმავ** დროს მოქმედებენ, მოძრაობენ იბრძვიან, აქ ხან ერთი იმარჯვებს და ხან მეორე.

ასეთ ბრძოლას მოკლებულია თითქმის ყოველი თანამედროვე მგოსანი, რომელშიაც ან პოეტური თავდავიწყებაა **მარტო**, ან რეალურ სინამდვილის ჭვრეტა. ეს ვაჟას განსაკუთრებული თვისება, აშკარა ძლიერი ბრძოლა თვის ტრაღიკულ იერით გადმოსჩქეფს და მის კვნესასაც განსაკუთრებულ ადგილს უთმობს, მისი ტრაგიზმის თავისებურობას აშკარად ჰყოფს.

კარგად ჩახედეთ ამ, ძველ სიკერპის მატარებელ, ადამიანს თვის ამაყ გულში, სადა იგი მარხავს მოზღვავებულ ჭირ-ვარამს, გადაშალეთ მისი მდიდარი, მრავალმხრივი ბუნება და თქვენც აშკარად დაინახავთ ამ განსაკუთრებულ თვისებათა მიზეზებს, რომლებიც ვაჟას ყველა თანამედროვე მწერალთაგან გამოჰყოფს...

ბ.

როგორც აღვნიშნე, ვაჟა ძველი საქართველოს ამაყი შვილია, იმ საქართველოსი, რომელიც თვით ატარებდა არწივის ბუნებას და რომელსაც ჯერ კიდევ არ დასდგომო-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურს ღონის-ძიებას (დაწვას) და ვენახები ახლანდელ მდგომარეობაში დასტოვოს. მიწათ-მოქმედების სამმართველო კომიტეტს წინადადებას აძლევდა, ეს საკითხი ხელმეორედ განეხილა. კომიტეტმა 13 აგვისტოს კრებაზე მეორედ განიხილა ეს საკითხი და ძველი დადგენილება დაადასტურა. დასასრულ კომიტეტმა დაადგინა, ჯამაგირის გარდა ცალკე ჯილდო მისცეს საფილოქსერო კასის იმ წევრებს, რომელნიც მუშაობის დროს შესაფერს მხნეობასა და უნარს გამოიჩენენ.

ქუთაისი

◆ შავიქვის მრეწველთა საბჭომ ინჟინერ ა. მიხაილოვს დაავალა შემოევლო მდინარე ყვირილის მოყოლებით მდებარე 13 სოფელი, რომელთა მცხოვრებიც მდ. ყვირილის გაბინძურებისაგან მიყენებულ ზარალს სჩიოდნენ. მიხაილოვმა უკვე შემოიარა ხსენებული სოფლები. მის მოხსენებას საბჭო მორიგ სხდომაზე გაარჩევს.

◆ 10 სა-და 11 აგვისტოს ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგმა გელერტმა, რომელიც ამ ჟამად თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებს, სენაკისა, წალენჯიხისა და ზუგდიდის მომრიგებელ სასამართლოებში რევიზია მოახდინა. გელერტი ამ მოკლე ხანში სხვა ჩვენს დაბებშიაც გაემგზავრება სარევიზიოდ.

◆ ქუთაისის მცხოვრებმა ნ. გოცირიძემ მეფის მოადგილისგან უარი მიიღო თავის თხოვნაზე. გოცირიძე თხოულობდა, ნება დაერთოთ მისთვის თიანეთის მაზრაში სპილენძის დამუშავებისა და ქარხნების დაარსებისა.

სიღნაღი

◆ **გარდაიცვალა** ქალაქის მოურავი მართან (ვარდო) ივანეს ძე ენიკოლოფოვი.

სოფლად.

◆ დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლებიდან იწერებიან, ნათესი იმდენად გადახმა და გაფუჭდა, რომ ეხლა წვიმაც რომ მოვიდეს, ვერას უშველისო.

დღიური

სოფლის საჭიროება.

ამას წინად ერთ ქართულ გაზეთში წერილი იყო დაბეჭდილი უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიების დანიშვნის წინააღმდეგ. გაზეთი ამბობდა: ჩვენ დღეს უნდა გავამრავლოთ და გავაძლიეროთ ის ელემენტები, რომელნიც უმთავრესად ჩვენის კულტურით საზრდოობენ, ჩვენს ენაზე ლაპარაკობენ, ჩვენს წიგნს და გაზეთს ჰკითხულობენ, ჩვენს თეატრში დადიან, ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოხმარდეს საყოველთაო პირველ-დაწყებით სწავლის შემოღებას; ჩვენი ქვეყანა მიწის მოქმედთა ქვეყანაა და ეს გვავალებს შევიტანოთ ხალხში სამეურნეო ცოდნა...

რასაკვირველია, ხსენებული სტიპენდიების წინააღმდეგ ამხედრებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, სტიპენდიების მოსპობა ვერ მოსპობს უმაღლეს სასწავლებლისკენ მისწრაფებას, მაგრამ ამ საკითხს პრინციპიალური, თეორეტიული მნიშვნელობა აქვს: იგი გვიჩვენებს, თუ რამდენად შეგნებული გვაქვს ჩვენი ეროვნულ ეკონომიური მდგომარეობა და რამდენად გაგვირკვევია ცხოვრების გზა. სტიპენდიების განაწილება ძალაუნებურად უკავშირდება იმ საკითხს, თუ ჩვენი ხალხის რომელს ნაწილს უფრო ესაჭიროება დღეს სწავლაში დახმარება და როგორის ცოდნის გავრცელება; ეს უკანასკნელი კი მოითხოვს იმის გადაწყვეტას, თუ რაგვარ ქონებრივ ცვლილებას განიცდის ჩვენი ხალხი ახლო მომავალში.

ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით იმ საერთო აუცილებელ ევოლუციით, საწარმოვო იარაღების გასაზოგადოებრივობით, რომელიც წინ მოელის ჩვენს ერს, როგორც სხვა ყოველივე ერს. ამ სოციალურ წეს-წყობილების ძირითად გარდაქმნის მოლოდინში არ შეგვიძლიან გულზე ხელდაკრეფილნი ვისხდეთ და დამშვიდებულნი ვუცდიდეთ იმ ჟამს, როდესაც რაღაც სასწაულებრივად კაპიტალის განვითარებისა, შეჯგუფებისა და მშრომელთა გაპროლეტარებით მოხდება გარდასვლა სულ სხვა საზოგადოებრივ სამეფოში. გარდასვლა მოხდება—უეჭველია, არა ჩვენის შეგნების დამოუკიდებლად,—მაგრამ საქმე ისაა, როგორნი გარდავალთ ჩვენ იმ სამეფოში ეროვნულად, რა ეროვნულის თანხით? შევალთ ახალ ცხოვრებაში როგორც გათქვეფილი მასალა, თუ როგორც განვითარებული, მომზადებული თავისებური პიროვნება?

ახალ ცხოვრებამდის ორი ნაბიჯი არაა და იქ მისვლამდის შეუძლებელია ვიცხოვროთ ქონებრივი და გონებრივი კულტურის გარეშე. როგორ შევქმნით ამ კულტურას? ჩვენებური კაპიტალი ძლიერ ნელა იზრდება, მსხვილი ბურჟუაზია მეტად სუსტია, არსდება სოფლის გაქალაქება, გლეხი წვრილი მესაკუთრე არ ჰქრება და მის ადგილს არ იკავებს მსხვილი მწარმოებელი—ამის მიხედვით ჩვენ ბრმად ვერ ავყვებით გარეშე შემუშავებულს გეგმას; საჭიროა, ჩავუკვირდეთ ღრმად ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს და საზოგადო მუშაობის დროს არ ვიხელმძღვანელოთ მარტო საერთო დებულებით, სხვისი ცხოვრების ნაკარნახევით, არამედ მივიღოთ მხედველობაში ისიც, თუ რას გვასწავლის ჩვენი პირადი მდგომარეობა.

ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი თვისებაა სიძლიერე სოფლისა, სამეურნეო ძალებისა და ის, რომ ამ ძალების გამოსაყენებლად არსადაა კაპიტალისტი და თუ ვინმე ისარგებლებს სოფლის სიმდიდრით, ისევ მხოლოდ გლეხი, წვრილი მწარმოებელი. იშვიათად მდიდარი მხარეა ჩვენი ქვეყანა, არსად ბუნება არ იძლევა იმდენს სამეურნეო და საწარმოვო მასალას როგორც ჩვენში; მადნეულობა, მიწის გულში დამარხული განძეულობა ჯერ თითქმის ხელუხლებელია ჩვენში, ბევრი გამოურკვეველიცაა; უკეთეს მდგომარეობაშია სასოფლო მეურნეობა, ე. ი. წარმოება იმისა, რაც მიწაზე აღმოცენდება, და თუ მეურნეობა სოფელში ჯერ ისევ პირველყოფილ საფეხურზეა, ის მაინც საკმაოდ ვიცით, თუ რომელი კუთხე რის აღმომცენებელია, რითია მდიდარი. ამ ცოდნაზე უნდა ავაგოთ ჩვენი მოღვაწეობა სოფლად და ნიადაგის მიხედვით უმწვერვალესამდე განვავითაროთ სასოფლო მეურნეობა. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ სოფლის გამაგრება სასოფლო მეურნეობის მოწყობით—ჩვენი ერის უდიდეს ეროვნულ იდეალთაგანია. სოფელი ჩვენი ქვეყნის უმეტესი ნაწილია, სოფლელები, გლეხები ჩვენი ერის დიდი უმრავლესობაა და მათი ცხოვრების მოწყობა მთელი ერის კეთილდღეობაა.

რა საშუალებას უნდა მივმართოთ ამისათვის? უპირველესად სამეურნეო ცოდნის გავრცელებას გლეხთა შორის; არა კმარა პირველდაწყებითი სამეურნეო ცოდნა, საჭიროა საშუალო სპეციალური სასწავლებლები მეურნეობის ყოველი დარგისათვის ცალკე. მეორე უსაჭიროესი საშუალებაა სხვა და სხვა გვარი კოოპერაციების და ამხანაგობათა მოწყობა. ამით შესაძლებელი ხდება საჭირო თანხის მოპოვება, გაუმჯობესებული იარაღების შეძენა და ბაზრის დაპყრობა, და თან კოოპერაცია ერთნაირი სკოლაა გლეხებისათვის, რომელიც აჩვევს მათ შეერთებულს, შეთანხმებულს მუშაობას... ადვილად წარმოსადგენია, თუ რა საერთო აყვავებას გამოიწვევდა ჩვენი სოფლის მოღონიერება. ჩვენს ერს შეემატებოდა დიდი შეგნებული ძალა, ფეხზე დამდგარი, ქონების და შეგნების პატრონი, პატივდადებული, ეროვნულს კულტურას დაწაფებული და თავის ღირსების დამცველი. ამის განხორციელება არც ისე ძნელია: ჩვენმა გლეხმა უკვე აიღო ალღო მეურნეობის გაუმჯობესებისა, იგი უკვე დაადგა გაკულტურების და თვითმოქმედების გზას, საჭიროა ხელის შეწყობა, დახმარება, შეგნება იმ დიდ მნიშვნელობისა, რომელიც აქვს სოფელს ჩვენი საერთო ცხოვრებისათვის. **სიტყვა.**

მუშათა ცხოვრება

ტფილისი.

◆ გაიფიცნენ „რექტიფიკატის" არაყის სახდელი ქარხნის მუშები.

ბაქო.

◆ დაიწყეს მუშაობა მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილების გამო ბ. ლახანში „კასპიის ამხან." სამრეწველოში 1.000 მუშამ, მირზოევისაში 649, ეკას ამხან. 14, „შრომის ამხ." მექანიკურ სახელოსნ. 51, ბეიპლეს სახელოსნოში 22, „არამაზდში" 30, ბიბიეიბათში რუსეთის საზ. 89 მუშამ.

◆ როტშილდის და ნობელის ქარხნებში გამოკიდებულია განცხადება, რომ, თუ 12 აგვისტოს მუშაობას არ შეუდგნენ, მუშები დათხოვნილნი იქნებიან.

პეტერბურგი.

◆ ქალთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების 2 თანამდებობის წევრი 7 აგვისტოს საპოლიციო უბანში წავიდნენ ცნობის მისაღებად. უბნიდან წევრები აღარ დაბრუნებულან. ამის შემდეგ პოლიციამ გასჩხრიკა ბინა საზოგადოებისა რუზოვის ქუჩაზე და დააპატიმრა 12 წევრი. დაპატიმრების შემდეგ დაპატიმრებულთა ბინა გასჩხრიკეს, მაგრამ ვერა იპოვნეს-რა და დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეს.

◆ 8 აგვისტოს დამცველ განყოფილების განკარგულებით დააპატიმრეს მუშათა საზოგადოების წევრი ვ. მოლოტოვი.

◆ ფრანგთა და რუსთა საზოგადოების ქარხანაში გაფიცვა, რომელმაც 52 დღე გასტანა, გათავდა. მუშაობა ძველ პირობებში დაიწყო. 20 მუშა, რომელთაც გაფიცვის ხელმძღვანელობას აბრალებენ ქარხანაში არ მიიღეს. სულ გაფიცული იყო 1.600 კაცამდე.

◆ ივანოვის პურის საცხობში მომუშავეებმა მოითხოვეს ჯამაგირის მომატება, ყოველ კვირაში აბანოში წასასვლელი ფულის მიცემა დ. ს. პურის საწყობის პატრონმა პოლიციას შეატყობინა გაფიცვა და მიუთითა 2 მუშას გაფიცვისათვის მუშები მაგათ აგულიანესო. პოლიციამ ამ ორი მუშის შესახებ ოქმი შეაყენა.

◆ სათათბიროს წევრის იაგელოს თხოვნით გაანთავისუფლეს მუშა ოქსენბერგი, რომელიც დაჭერილი იყო სამკურნალოთა კასის წესდების დასაბეჭდ ფულის შეგროვებისათვის.

◆ რადგანაც პეტერბურგის ლითონის ქარხნებს გაფიცვა მოედო განხილული იქმნა საკითხი: შეუძლიან თუ არა ერთი საამქროს მუშას იმუშავოს სხვა საამქროში. სხვა და სხვა ქარხნებმა ეს საკითხი სხვა და სხვანაირად გამოარკვია. ეხლა საარქიტექტორო-საალმშენებლო მუშათა კავშირს კიდევ წამოუყენებია ეს საკითხი, რადგანაც ლითონის მომუშავეთა გაფიცვის გამო გაფიცული მუშები მიდიან მათ საამქროში და აქ კი შეუძლიან ქირის დაწევა, რადგანაც მომუშავენი ბევრნი იქნებიან. კავშირს აღუძრავს საკითხი და ჰსურს პრინციპიალურად გადაწყვეტილი იქმნეს.

◆ პეტერბურგის „ხულიგნები" გადასახლებულან იმ უბანში სადაც მომეტებული ნაწილი მუშებისა სცხოვრობს. როგორც დაღამდება „ხულიგნები" თარეშობას დაიწყებენ. ვაი იმ მუშას, რომელიც მათ არაყის ფულს არ მისცემს. ქარხნებში მომუშავე ქალები ცალ-ცალკე ვერ ბრუნდებიან სახლში, უეჭველად 15—20 ქალი ერთად უნდა მიდიოდნენ, რომ ხულიგნების თავხედობას წინააღმდეგობა გაუწიონ. გარდა ამისა ბავშვები, რომელთა თვალ წინ მიმდინარეობს ქუჩის ცხოვრება ირყვნებიან „ხულიგანთა" ყოფა-ქცევის ცქერით. ამის გამო ამ უბანში მცხოვრებ მუშებს გადაუწყვეტიათ შუამდგომლობა აღძრან გადაასახლონ მათი უბნიდან ხულიგნები.

◆ ლურსმნის სამხედრო ქარხანაში ქურდობის გამო ქარხნის ადმინისტრაციამ ჩხრეკა დაუწყო მუშებს შინ წასვლის დროს. ამის გამო რამდენჯერმე შეტაკება მოუვიდათ მუშებსა და ადმინისტრაციას. საქმე ის ყოფილა, რომ მჩხრეკავებად დაუყენებიათ ქარხნის მცველები და მუშებს განუცხადებიათ, მჩხრეკავები უსუფთაო ხელებს ჩვენ ტანსაცმელზე იხოცვენ და ხშირად პურს, რომელიც შინ მიგვაქვს, იმავე ხელებით სჯიჯგნიანო. ერთ დროს თვით მუშებს დაეწყოთ ქურდებისათვის დევნა და კიდეც აღმოეჩინათ, რომ ქურდობა მჩხრეკელს ჩაედინა. შემდეგ მუშებს ნება აღარ მისცეს ქარხნის ქონებათა დაცვისა. ეხლა მუშებს გადაუწყვეტიათ, მოიწვიონ საერთო კრება მათი ღირსების დამამცირებელ ჩხრეკის შესახებ მოლაპარაკებისათვის.

◆ გარტვიგის ტყავის ქარხანაში გაფიცვა გათავდა. მუშები ძველ პირობებში მუშაობენ. 12 კაცი, რომელზედაც ადმინისტრაციამ იჭვი მიიტანა—გაფიცვის ხელმძღვანელობისა ქარხანაში აღარ მიიღეს. მათ მიემატა კიდევ 13 კაცი, რომელთაც არ მოისურვეს „შტრეიკბრეხნერებთან" მუშაობა.

◆ ობუხოვის ქარხანაში გაფიცვის გაგრძელების გამო სათათბიროს წევრმა ზადეევმა მიმართა სამხედრო მინისტრსა და საზღვაო მინისტრის ამხანაგს ბუბნოვს თხოვნით, რომ მიიღონ მათ იგი, რადგანაც მინისტრებთან მოსალაპარაკებელი საქმე ჰქონია გაფიცვის გამო. ზადეევისათვის არ შეუტყობინებიათ, თუ როდის მიიღებენ მინისტრები მას.

მოსკოვი.

◆ რუსეთის ამხ. სტამბაში გაფიცვა გათავდა. მუშათა ზოგიერთი მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

◆ სიბერგის ლითონის ქარხანაში მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ქარხნის პატრონს და გაიფიცნენ. ქარხნის პატრონმა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და მუშები დაითხოვა.

◆ ძმ. ივანოვების საფულეთა მკეთებელ სახელოსნოში მუშები გაიფიცნენ.

◆ მიურ და მერილიზის ქარხანაში გაფიცვა გრძელდება.

◆ კოლგუშინის ტყავის სამრეწველო ქარხანაში კიდევ გაფიცულია მრანდავთა საამქრო. მოთხოვნილება განხილული არ არის, რადგანაც ქარხნის პატრონი აქ არ იმყოფება.

ლოძი

◆ პოზნანსკის სააქციონერო საზოგადოების ქარხანაში მუშაობა განახლდა. ლოძის ქარხნების გაფიცვა საერთოდ გათავებულია.

მოწერილი ამბები

ს. შილდა. (თელავის მაზრა) შილდა ერთი უდიდესი და შეძლებული სოფელთაგანია შიგნით კახეთში, მასში 860 კომლი ითვლება, და ქონებრივად შედარებით სხვა სოფლებზე მაღლა სდგას. დიდი ბაზარი, მშვენიერი ორ-სართულიანი სახლები, თვით სოფლის სივრცე და მდებარეობა შორიდან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

რასაკვირველია ყველა ამას ვერ შეეფერება სოფლის შინაური კეთილდღეობა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ ჩვენ ყოველმხრივ დაქვეითებულ ცხოვრებას, შილდას წინსვლელობის ნიშნები ეტყობა, რაც უმთავრესად იმის მიზეზი უნდა იყოს, რომ სოფლის ინტელიგენციით ისეთი ღარიბი არ არის, როგორც მაგ. კახეთის სხვა სოფლები. მშვენივრად მოწყობილი სკოლა, რომლის გასაფართოებლად სოფელმა ახალი შენობა უნდა აგოს. თვით მცხოვრებთა დამოკიდებულება, წვრილი კრედიტი რომელიც მალე გაიხსნება, და სამკითხველოს ადგილი აქვს სოფელ შილდაში. იყო კიდევ მომხმარებელი საზოგადოება მაღაზიით, მაგრამ სამწუხაროდ ვერ შეინარჩუნეს შილდელებმა ასეთი საჭირო დაწესებულება, რაც არ შეიძლება პასივში არ ჩაეწეროს აქაურ ინტელიგენციას, მაგრამ ორიოდე პიროვნება უძლურია იმ შავ ძალებთან, რომელნიც ყველგან მოიპოვებიან და აქ ხომ აქტიურად გამოდიან საბრძოლველად.

წვ. კრედიტის დაარსებას დიდი დაბრკოლება ამოუჩნდა იმ ჩარჩვაჭართა წყალობით, რომელთაც დღეს ხელში ჩაუგდიათ სოფელი და ცოტას გასწყდა, სოფლელთ უარი არ ათქმევინეს ამ სიმპატიურ დაწესებულებაზე.

ზემოთ ბიბლიოთეკა ვახსენე. აქამდე იგი ნათხოვარ და სრულიად შეუფერებელ ოთახში იყო მოთავსებული, ეხლა კი საკუთარ შენობას აგებენ. რომელიც უკვე დაწყობილია და მით უზრუნველ იქნება მისი არსებობა.

6 აგვისტოს ამ ბიბლიოთეკის შენობის სასარგებლოდ სეირნობა გაიმართა მისი გამგის თ. დათა ვახვახიშვილის პასუხისმგებლობით და კარგათაც ჩაუვლია როგორც შინაარსით ისე შემოსავლით.

ხალასი მოგება ოც თუმნამდე დარჩება, რაიც იშვიათია სოფლად.

ეს ბიბლიოთეკა წ. კ. საზოგადოების სახელობაზეა გახსნილი 1900 წელს, ხოლო თელავის განყოფილების დაარსების შემდეგ მის გამგეობაში გადავიდა. **დავიწყებული.**

რუსეთი

ათონის ბერების საჩივარი.

◆ სინოდის გამგის თანაშემწეს რუნკევიჩს ჩააბარა ათონის ბერების წარმომადგენელმა დომეტი კომიაკმა, ტომით უკრაინელმა, 614 ათონის ბერის საჩივარი. ბერები ჩივიან, რომ მათ უსამართლოდ მოეპყრნენ, რომ მათი მრწამსი მწვალებლობად უსამართლოდ არის აღიარებული და სთხოვენ სინოდს დანიშნოს ეპისკოპოსთა საგანგებო კომისია, რომელმაც ხელმეორედ უნდა განიხილოს მათი საქმე. ბერები საქმის გამომძიებელ არქიეპისკოპოსს ანტონი ვოლინელს და ეპისკოპოსს ნიკონს მიკერძოებას აბრალებენ და სთხოვენ სინოდს კომისიაში დანიშნოს ეპისკოპოსი ჰერმოგენი, ეპის. ფეოფანე პოლტაველი, ტრიფონი მოსკოვის ეპარქიის ქორეპისკოპოსი, ტიხონი ურალისა და ოთხი მოძღვარი მათის არჩევნით. ბერები უარჰყოფენ იმ ცნობას, ვითომც ათონზე „პატიომკინი"-დან გაქცეული მეზღვაური ჯარის კაცნი იფარავდნენ თავს. ნამდვილად კი ამ ბერებს 20—30 წ. გაუტარებიათ ათონის მთაზე და არავითარი კავშირი პატიომკინელებთან არ ჰქონიათ.

საქალაქო ლომბარდები.

ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი „საქალაქო ლომბარდთა დებულებისა" რომელიც ქალაქის თვითმართველობებს დაეგზავნა. უკანასკნელებმა უნდა უპასუხონ სამინისტროს, თუ რა აზრისანი არიან ამ კანონ-პროექტის შესახებ. კანონ-პროექტის მიხედვით საქალაქო ლომბარდის გახსნა შეუძლიან ქალაქს, თუ ქალაქის საბჭო გამოიტანს შესაფერის დადგენილებას, ხოლო ლომბარდის მოქმედება დაიწყება მინისტრისაგან დამტკიცების და სენატისაგან საყოველთაოდ გამოქვეყნების შემდეგ. ლომბარდის დაარსებისათვის საჭიროა საგუბერნიო ქალაქმა 25 ათასი გადასდოს, სამაზრო ქალაქმა 5 ათასი. პროცენტი კი ასეთი უნდა დაწესდეს: 12 პროცენტი თანხიდან და 6 პროცენტი შენახვისათვის და დაზღვევისათვის სულ კი 18 პროცენტი. ახალი პროექტით პროცენტ-გადაუხდელი დაგირავებული ნივთები ინახება ლომბარდში არა 2 თვე, როგორც ეხლა არის, არამედ 12 თვე.

სხვა და სხვა ამბავი

46 წლის ჯარის კაცი.

პოლონეთიდან გაქცეულა ამერიკაში ებრაელი შკოპი, რადგანაც არ უნდოდა სამხედრო ბეგარა მოეხადა. ამერიკაში შკოპს ქარხანა შეუძენია და შეძლებული კაცი გამხდარა. დიდი ხანი რუსეთში არ დაბრუნებულა, თუმცა ქონებრივად ეწეოდა ნათესავებს. წელს თურმე შკოპის ძმისწული ცოლს ირთავდა და ნათესავების ნახვის მსურველი შკოპი რუსეთში დაბრუნებულა. პოლიციას დაბრუნებული შკოპი დაუჭერია და სამართალში მიუცია სამხედრო ბეგრის მოხდის აცილებისათვის. შკოპი ეხლა 46 წლის არის და ახლად ჯარში გაიწვიეს.

მოსამართლის თავის მოკვლა.

ტაშკენტში თავი მოიკლა თავის ბინაზე საოლქო სასამართლოს წევრმა ბელოზერსკიმ. ბელოზერსკი ცნობილი მოსამართლე იყო მთელ მხარეში, მან 20 წელიწადი გაატარა ტაშკენტის ოლქში. თავის მოკვლის მეორე დღეს ბელოზერსკი სამსახურ-

---

და დრო „ყოფნა-არყოფნის" კითხვისა.

ძველი ქართველის ნებისყოფა გრძნეულ ცეცხლის ალზე იჭედებოდა, მისი სული მტკიცე იყო... მან არ იცოდა უნაყოფო, ლამაზი ოცნებით გატაცება და მარტოოდენ მითი კმაყოფილება. იგი გონიერად, მშვიდად და დარბაისლურად სწონიდა ძალებს და მოქმედებისაკენ იწევდა. დიდი იყო სივრცე ამ არწივის სანავარდოდ გარდაშლილი, ზვიადი და ამაყი იყო გული მისი, ურყევი და მჭრელი იყო ნებისყოფა მისი.

აზრი და ზრახვა, ფიქრი და ოცნება იმდენად იტაცებდა მას, რამდენადაც საჭირო იყო მისი ამოძრავება მოქმედების, აქტის წინ. მიზანი ოცნებათა მარტო მოქმედება იყო და იგი რეალურ აქტში ჰპოულობდა თვის დაგვირგვინებას. ძველი ქართველი ორსავე მომენტში შეუდარებელი დარბაისლობის, გონიერების, მამაცობის და ლომგულობის მატარებელი იყო. მოიგონეთ მეფე დიმიტრი თავდადებულის რჩევა წარჩინებულთა შორის, მოიგონეთ ერეკლე მეფის და ლეონიძის გონიერი სჯა „ქართლის ბედი" გარდაწყვეტის წინა, ნ. ბარათაშვილის მიერ ასე ხელოვნურად აღწერილი. ეს პირველი მომენტი, რომელიც რეალურად გამოხატულ აქტს წინ მიუძღვის... აქ უნიადაგო ოცნება როდია? უმიზნო შეფიქრადებულ მსჯელობასაც არ აქვს ადგილი; მათ იციან, რომ ამ გონიერ რჩევას უნდა მოქმედება მოჰყვეს,—სიტყვა საქმედ იქცეს. ამ საქმის დროს ქართველთა სულის სიმტკიცე და რაინდული განწირულება აშკარად მეტყველობს:

„...მდევარის ხმაზე
ქაბუკნი მხნეობით აღტაცებულნი
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდენ, წამს შექურვილნი...
ვაი მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე არ დაფარავდენ
ვითა, შურდულებ, ტრედთ შევარდენი
მისვლოდენ და შემუსრავდენ"...
(გრიგოლ ორბელიანი).

ამრიგად, ძველი ქართველი არსებითად **აქტიური** იყო და მისი ცხოვრებაც ამ აქტივობის ინტენსიურ გამომხატველად უნდა ჩაითვალოს. იქ, სადაც აშკარად არ არის გამოხატული ეს აქტიურობა, ჩვენ ვხედავთ მისთვის მზადებას. თვით ლხინის და განცხრომის წუთებშიაც კი არ ივიწყებს ქართველი ამ აქტიურ მოქმედების წყურვილს, რადგან იცის — მისი დაკარგვა თავისუფლების დაკარგვას უდრის.

იგივ პოეტი (გრ. ორბელიანი), ასე მხატვრულად გვისურათებს ამ ლხინის წუთებსაც, რომელიც ისევ აქტივობის სამზადისია:

— „გისმენდეს: თუ ვით, დღესასწაულსა.
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი
ჭაბუკ-მხედარნი ყაბახსა ვრცელსა,
ვითა სამრად მომზადებულნი,
ვით ალვა რგულნი, ცხენზე უძრავად
მოჰქრიან ესრედ, ვითა ნიავი.
ჰკრეს ნაღარასა, განიყვნენ ორად
აჰა, საამო სჩანს სანახავი!
ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი, ყურთ-მაჯთ ფრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა,
კვალად ზეხტომა და ხმალთ კრიალი!..
ზოგი არწივსა,
ზეცას მფრინავსა,
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა
ჯირითი ზოგის,
ზუზუნით მოჰქრის
და მოხვდა ქვაზე თასს, ნიშნად დგმულსა"... და სხვ.

ასეთ აქტიურობის სულის ჩამდგმელი მარტოოდენ თავისუფალი ყოფაა, შეუბოჭველი ნებისყოფა, რომელსაც მარტო გონიერების ხიფხიზლე საზღვრავს.

საქართველო მეტ შემთხვევაში ამ აქტიურ ბუნების მატარებელი იყო. დღეს პირობები შეიცვალა: მან ანგარიში უნდა გაუწიოს სხვის ნებისყოფას. ამ ყოფაში იგი თანდითან ეჩვევა სხვის ინიციატივას და უბრალო ობიექტად იქცევა გარე-ძალის აქტივობისა. **ხოლო მასში ინსტინქტით ჯერ კიდევ საცნობი და ხშირად ცხადი ხდება აქტიობის წინამორბედი მომენტი—მომენტი უბრალო ჭვრეტისა და ანალიზისა...** მაგრამ ჭვრეტა იგი უუნებოა და მას აღარ იტაცებს მისი ნდომა. მან იცის, რომ „ძველი დიდების" დრო ჩაესვენა და დღეს მარტოოდენ მასზე ტირილი და მომავალზე უნიადაგო ოცნება იპყრობს.

მხატრული ლიტერატურა სწორედ გადმოგვცემს ამ თანამედროვე ქართველის ფსიხოლოგიას. მრავალი მგოსანი მარტო ლამაზ ოცნებას მისდევენ და ამ ოცნების საზღვრებში შრება მათი შემოქმედების სიცხოველე. მხატვრული მშვენიერებით დამცხრალი ვნება შემოქმედს შვებას ჰგვრის და აღარ ითხოვს მისგან ამ მშვენიერების არსებულ რეალობაში გადატანას. მართალია, ჩვენ ხშირად გვესმის წუწუნი თანამედროვე ცხოვრების უკუღმართობაზე, მაგრამ ეს ტირილიც ერთგვარი შვების პროცესია მგოსნისათვის, რომელსაც იდეალი „მე" ჩასჩურჩულებს აქ ოცნებათა უნიადაგობას. ამიტომ, წარმტაცად ხატავს, იდეალურ ცხოვრების სურათთან მათ წინ, უეჭველად, აღიმართება—„მაგრამ"—რომელიც იქვნეულობის პირმშოა და მოქმედებისა და აქტიობის მომაკვდინებელი.

ამ მგოსანთა ტრაგედია პატარა მასშტაბით იშლება, როგორც სუბიექტიურ მხარით ხილული და ობიექტიურად ჯერ არ ნახული.

ოცნება მათთვის სინამდვილედ ქცეულა, სიტყვა საქმედ გარდაქმნილა მათ ფანტაზიაში და ტრაგედიის ძალიც სწყდება; შემოქმედებითი თავდავიწყება სპობს მის სიმწვავეს და პიროვნება მშვენიერის ტყუილით ნეტარებას განიცდის.

სულ სხვა გვარი იერის არის ვაჟას ტრაგედია, რომელსაც სუბიექტიურად საზღვრები გარდაულახავს და თავის უხვ მასალას ობიექტიობაში ეძიებს. არც ერთი თანამედროვე მგოსნისათვის ისეთი მტანჯველი არ არის ეს ტრაგედია, როგორც ვაჟასათვის, რადგან ობიექტივიზმი ფრთებს ამტვრევს ლამაზ ოცნებას და „მოტყუილების" მშვენიერ წუთშიც **აფხიზლებს** მას. აქ მთელის სიძლიერით გამოდის ვაჟა-მებრძოლი, რომელიც პირმშო შვილია აქტიურობისა და რომელიც ნამდვილ, რეალურად სახულ მოქმედებისაგან იჭრება. მაგრამ იგივ არსებული რეალობა შეუმუსრველ დაბრკოლებად იმართება მის წინ და გულს უსერავს ამაყ არწივს.

აკაკი პაპავა.

(შემდეგი იქნება)

ში წარმატებას მოელოდა. არავითარი წერილი არ დაუტოვებია.

მხედართა ჩხუბი.

მოსკოვში, ცხენთა ჯირითის დროს, ერთ მაყურებელთაგანს ჟანდარმთა როტმისტრს ვედეცკის მოეჩვენა, რომ სამსახურ გარეშე მყოფმა პოლკოვნიკმა შეურაცხმყოფელად შეხედა ვედეცკისთან მჯდომ ქალს. ამის გამო ლაპარაკი მოუვიდათ როტმისტრსა და პოლკოვნიკს. ლაპარაკი თანდათან გამწვავდა. ხალხი გარს შემოეხვია მოჩხუბართ და ცხადად თანაუგრძნობდა მოხუც პოლკოვნიკს. პოლკოვნიკი თავადი სუმბათაშვილი გამოდგა და განუცხადა როტმისტრს, რომ მზად არის ყოველ გვარ დასაკმაყოფილებელ ღონისძიებით გასცეს პასუხი.

ბალკანეთის მდგომარეობა

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

13 აგვისტო

ბელგრადი. 13 აგვისტოს სერბიელთა მოსწავლე ახალგაზრდობა მივიდა „მოსკოვის“ სასტუმროსთან, სადაც პ. მილიუკოვი სცხოვრობს. შემდეგ მიადგნენ იმ მაგიდას სასტუმროში, რომელზედაც მილიუკოვი ვახშმობდა, წაიკითხეს მილიუკოვის სტატიები სერბიის წინააღმდეგ მიმართული და მოსთხოვეს მილიუკოვს, როგორც სერბიის მტერს, წასულიყო სერბიის მიწა-წყლიდან. მილიუკოვსა და ახალგაზრდობას ლაპარაკი მოუვიდათ. შემდეგ მილიუკოვმა განაცხადა: დაუყოვნებლივ წავალ სერბიიდანაო. 13 აგვისტოს მილიუკოვმა საერთაშორისო კომისიის სხვა წევრებთან ერთად დასტოვა სერბია და სალონიკს წავიდა.

ბელგრადი. მოვიდა ცნობა ვუკოტიჩი ბულგარეთ-სერბიის შორის მდებარე საზღვრის უკანასკნელად გამოსარკვევად. მცოდნე წრეები ირწმუნებიან, რომ საკითხი გაურთულებლად გადასწყდებაო.

სოფია. ოსმალოს ჯარმა დაიჭირა მუსტანლი და გიუმიულჯინი. რადგანაც ოსმალეთი ხმებსავრცელებს ოსმალეთ-ბულგარეთის დამოუკიდებლად მოლაპარაკების შესახებ, ბულგარეთის სააგენტო აცხადებს, რომ ნეჩაევიჩისათვის და დორევისათვის არავითარი რწმუნება არ მიუციათ მოლაპარაკებისათვისაო.

სოფია. 4 ბერძენი, 14 ასანტელი და 24 ყაველელი ეპისკოპოსი, რომელნიც ჯაშუშობისათვის დაჭერილნი იყვნენ და ბულგარეთში მოიყვანეს შეტაკების დაწყებისას, განთავისუფლებულნი არიან.

ბელგრადი. „პრეს ბიურო“ იტყობინება: მოვიდა საერთაშორისო კომისია ბულგარელთა სიმკაცრის გამოსარკვევად. სერბიამ, რომელმაც გამოსცადა ბულგარელების სიმკაცრე, ნება მისცა კომისიას გამოძიებისათვის, მხოლოდ მოსთხოვა, რომ მისი შემადგენლობიდან გამორიცხული ყოფილიყო მილიუკოვი, რადგანაც ცნობილია მისი მიკერძოებული და მტრული განწყობილება სერბიისადმი. რადგანაც კომისიის დანარჩენი წევრები ეთანხმებოდნენ და თანაუგრძნობდნენ მილიუკოვს და რადგანაც კომისიას არ შეეძლო სერბიისაგან დახმარება მიეღო, ამიტომ მთავრობამ იხმარა გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, რომ კომისია სერბიიდან წასულიყო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

13 აგვისტო.

უცხოეთი.

გლაზგო. გაიხსნა მეცხრე საერთაშორისო კოოპერატორთა კონგრესი. დაესწრო 600 წარმომადგენელი, რომელნიც 20 მილიონ კოოპერაციას წარმოადგენენ. მისასალმებელ სიტყვაში გრაფმა გრეიმ აღნიშნა თვალსაჩინო ზრდა საერთაშორისო კოოპერატივებისა.

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა ვილსონმა გადასცა სენატს თხოვნით მიმართვის წაკითხვა მექსიკის მდგომარეობის შესახებ 14 აგვისტოსათვის.

ქაირო. ეგვიპტის მთავრობამ სთხოვა საბერძნეთის მთავრობას, აუკრძალოს ეგვიპტეში მცხოვრებელ ბერძნებს გამარჯვების გამო დემონსტრაციები, რადგანაც დემონსტრაციებს შეუძლიანთ შეურაცხყონ ეგვიპტელ მაჰმადიანთა რელიგიური გრძნობა.

შანხაი. იტყობინებიან, რომ ნანკინი დაჰნებდაო. მთავრობის მოწინავე რაზმი ქალაქში შევიდა. უკანასკნელ დღეებში ორივე მხრივ დიდი ხალხი დაიხოცა.

ლვოვ. სიხოვში, ღამით, თავს დაესხა სახალხო მატარებელს 20 ყაჩაღი შეაჩერეს მატარებელი, შეკრეს მემანქანე და გარს შემოერტყნენ ფოსტის ვაგონს. მოხელეებმა კარები ჩაჰკეტეს. ბოროტგამზრახველებმა თოფი ისროლეს და შემდეგ მიიმალნენ.

რუსეთი

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია ბრძანება, რომ კავკასიაში მეფის მოადგილის საგანგებო რწმუნებულება შესახებ კასპიის ზღვაში მოცურავე სავაჭრო გემებისა, დებულება შესახებ გაძლიერებულ დაცვისა კავკასიის ზოგიერთ კუთხეში და საგანგებო დაცვა ბაქოს ქალაქის საუფროსოში გაგრძელებულია. ნებადართულია ძირითადი კანონების მე-87 მუხ. ძალით, რომ ყველა მოთხოვნილება ბაჟ-გადაუხდელად შემოიტანონ საზღვარ-გარეთიდან ნავთი 1913 წ. 15 დეკემბრამდე.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი მოათავსოთ.

4 აგვისტოში ს. შინდისში (გორის მაზრა) წარმოადგინა გაიმართა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოადგინეს „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძისა და ავ. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. შემოსავალი სულ იყო 62 მანეთი. გასავალი 31 მ. დარჩა 40 მ. 90 კ. მადლობას ვუძღვნით როგორც წარმოდგენაში მონაწილეთ, აგრეთვე დამსწრე საზოგადოებას. აგრეთვე მადლობელი ვართ მათი, ვინც ჩვენ სამკითხველოს გაუწია დახმარება წიგნებით. ესენი არიან: ნ. მუსხელიშვილი (შემოსწ. 986 წიგნი), ი. ფანიაშვილი (შემოსწ. 85 წ.), ლ. ბოცვაძე (77), კ. თავართქილაძე (35), გ. მირზაშვილი (17 წ.), სვ. მირზაშვილი (6 წ.), გ. კვალიაშვილი (5 წ.), ი. კვალიაშვილი (5 წ.), თ. დავითიშვილი (25 წ.), ი. თავყელიშვილი (4 წ.).

მღვ. დ. სვიმონიშვილმა ყოველ წლიურად აღუთქვა 10 მანეთი. მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე ბ-ნ გ. დიასამიძეს „თემი“-ს უფასოდ დაბარებისათვის და „სახ. გაზ“. რედაქციას, რომელმაც ნახევარ ფასად დაგვითმო გაზეთი.

ს. შინდისის უფასო სამკითხველოს ზედამხ.
ვლადიმერ ხალარიძე.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანმა: ა) რვა სურათი კავკასიურ ტიპებისა ფერადით ნახატი, ბ) ფ. ტიმმის 70 სურათისაგან შემდგარი ალბომი, გამოცემა „**Русскій художественный Листокъ**“-ისა და გ) პოგარტის 79 სურათისაგან შემდგარი ალბომი.

2. სოფელ დიღმის მცხოვრებელმა მარიამ ხეჩუმაშვილმა—სიგელი მეფე ერეკლე მე-II-სა.

3. თ. ალექს. ივ. ჯამბაკურ-ორბელიანმა: ა) სპილენძის თასი ზედწარწერით: „მეფეს ირაკლის“. ბ) წიგნი „**Уставъ войнскій о должности генераловъ**“ და სხვ. დაბეჭდილია 1753 წ. პეტერბურგში. წიგნს ქართულად აწერია: „მათს სიმაღლეს ჩემს მოწყალეს საქართველოს მეფეს ერაკლის მიერთოს ვოინსკი უსტავი მდაბლისა არხიეპისკოპოსისა რუსთველის იოანესაგან“.

რომანოზ მოსეს ძემ მამუჩაშვილმა (სოფელ დიღმიდან)—სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, მხედრული ხელნაწერი.

5. ეფემია გრიგოლის ასულმა გიორგიევისამ (სოფელ დიღმიდან): ა) ხის ჯვარი ჩუქურთმიანი და ვერცხლით შეჭედილი და ბ) ხუცური ხელნაწერი (ნაკლული და დაზიანებული).

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უთვლის შემომწირველებს.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3 **საფო.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 1 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს 7 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზ. ვრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ცხეთაზე: № 65, **საგარაკო** დილ. 3 ს. 46 წ., № 67, ბ **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **საფო.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისაკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისაკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფო. დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 1 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ს. მგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე) № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 06, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

უფასო სამკურნალო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. მაგერლოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**.
1004

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 56.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ც. მ. ფილოსიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისთვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:
საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო დ საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა **დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი
სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,
რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**
მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძლიერ დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.**
1413

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით
სამკურნალო
ხრესილი
აბანო
ხრესილი
მჯერფასი მთის ჭაერზე
ძმ. ყორყოლაძეების
აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას
1385

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „შემობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ოქროს მედალი
Золотая медаль.
ოქროს მედალი
Золотая медаль.
ПОХВАЛЬНЫЙ ОТЗЫВЪ за ВСЕРОССІЙСКУЮ ВЫСТАВКУ въ Н. НОВГОРОДѢ въ 1896 г.
GRAND-PRIX
მკალიერი
მოსკოვის საქარხნო საწყობისა
ვლადიმერ ალპატოვისა
ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისთანავე გამოიგზავნება უფასოდ.
1393

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 7:2.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა ქვიშ.
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და
კონსერვები.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი წიგნები:

აკაკის საიუბილეო კრებული	25 კ.
ასული ისრაელისა, ა. ფურც.	30 „
ბრძოლა ანუ გ. სააკაძე და მისი დრო	1 მ.
დუტუ მეგრელი ტ. 1,	70 „
„ „ ტ. 2-ე,	70 „
ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძ.	5 „
ვისი ბრალია? დ. ერისთ	20 „
ვარინკას ამბავი,	15 „
ბურჯი ეროვნებისა, ი. გოგებაშვ.	20 „
თავადი იერონიმე, მგალ.	10 „
თხზულებანი ხუსკივაძისა,	10 „
თავდადებულნი ქართველნი,	5 „
ია ეკალაძე. მოთხრობები	1 მ.
ივანემ რა ჰქმნა? ი. გოგებ.	5 „
კახეთის ამბოხება, ა. ფურცელი	60 „
ლევან ბატონიშვილი, ხუსკ.	10 „
მეჯღანუაშვილი, ერდაზ.	50 „
მთიულეთი, ა. ფრონელი,	40 „
დილარიანი, ლორიძისა,	2 მ.
მაცი ხვიტია, ა. ფურც.	50 „
მოლიპულ გზაზე.	1 მ. 50 „
მთიული სოსე	10 „
მეფე ერეკლე და ინგილო ქალი.	5 „
Методическое руководство къ препод. русск. языка	40 „
რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ი. გოგებ.	1 მ.
რანი ვიყავით გუშინ, მისივე	20 „
სამეფო ტახტის მემკვიდრისა, მისივე	20 „
ქეთევა, ა. ფურც.	15 „
ქართ. მეფე გლეხის ქოხში, ი. გოგ.	5 „
ჩემი თავგადასავალი, აკაკი,	75 „
ჩვენებური საქმის ბოლო, ა. ფურც.	20 „
ცხოვრება და სიყვარული,	40 „
წვრილი მოთხრობები სვ.	50 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

საბუღალტრო კურსები
გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

საბუღალტერიო და საკანცელარიო ცოდნათა
კ უ რ ს ე ბ ი,
არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის (მე-XIV წ. არს. შემ.).
კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა დ სხვა ნაწილის შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფისა დ მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭვდას, **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, საღამოობით, **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 ს.—1 საათამდე.
1420

ს ო რ ა პ ა ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად, მეოთხე ახალი გამოცემა, სახელმძღვანელო წიგნი, ნაწილი პირველი:
„ქართველი მწერლები“
შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. **ფასი 80 კაპ.**
ამ წიგნის მეორე გამოცემა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებლებში სახმარებლად ნება-დართულია.
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მეორე ნაწილი სახელმძღვანელო წიგნი „ქართველი მწერლები“ ფ. 1 მან. 30 კაპ.
პარტიობით მყიდველებს შეუძლიანთ მოითხოვონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ Типографія „Сорапань“, ანუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას ქ. ტფილისში.
1417

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
საბუღალტრო კურსები
ს. ვ. აბრაამიანისა
(დაარსებულია 1895 წ.)
„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.
ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გაგრძელდება.**
მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.
ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.
კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.
პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744.
1433.

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.